



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე



ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე (1844-1929), ურნალისტი, მთარგმნელი, თეატრალური მოღვაწე.

დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. სწავლობდა მოსკ. უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტბე (1862-66). იყო განახლებული ქართ. თეატრის ერთ-ერთი მესვეური და ხელმძღვანელი (1878-79), ურნ. „მნათობის“ რედაქტორი (1869-72). აქვეყნებდა წერილებს ქართ. თეატრზე. გამოსცა „ქართული კალენდარი“ (1867).

#### 6. ავალიშვილი.

მისი თხზულებები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „მნათობში“, „ივერიაში“. თარგმნიდა დას. ევრ. და რუს. ლიტ-რის ნიმუშებს [ფ. შილერის „ვილჰელმ ტელი“ (1867, 1872), „ფიესკოს შეთქმულება“ (1872), „ყაჩაღები“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ (1901), ს. ურბანოვსკაიას მოთხრ. „თავადის ქალი, შრომა და ფუფუნება“ (1869), პ. სენკევიჩის „ვიდრე ხვალ“ (გამოიცა 1964), სერვანტესის „დონ კიხოტი“ (1869, შემოკლებული თარგმანი. სრული: ტ. I - 1906, 1951, ტ. II, გამოიცა 1953)]. ა-ის „მოგონებანი“ დაცულია საქართვ. თეატრ. მუზეუმში.

თხზ.: ჩემი თავგადასავალი და განცდანი, თბ., 2014.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს., ნიკო ავალიშვილის ღვაწლი, წგ. თამაშის ხელოვნება, თბ., 2016.

